30 ივნისი, 1930 წელი წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

# დროშა



№ 12 (36)

ფოტო—ედ. შმერლინგის.

მოძრავი ღუმელის აწყობა კასპის ცემენტის ქარხანაში

# უცხოეთის ფოტო-ქრონიკა



## გაფიცულთა მებრძოლი სული ვერ შედრიკეს!

უკვე ორ თვეზე მეტია გრძელდება ინგლისის მატყლის მრეწველობის მუშების გაფიცვა. მიუხედავად საბოტაჟისა, რომელსაც ტრედუნიონისტული მოხელეები მიმართავენ და დამქირავებლების საკომპრისო წინადადებებისა გაფიცულთა მებრძოლი სულ ვერ მოსტეხეს.

სურათზე: პოლიცია არბევს მუშათა პიკეტს, რომელიც იორკშირის ერთ-ერთ ქარხანასთან სდგას.




## რემედასის საფრანგეთის სექციის ყრილობა

ამ დღეებში პარიზში შესდგა რემედასის საფრანგეთის სექციის მესამე ყრილობა. ყრილობაზე განხილულ იქნა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია რევოლიუციის მებრძოლთათვის დახმარების აღმოჩენასთან.

სურათზე: ყრილობის სხდომის დარბაზი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა



საკავშირო კომპარტიის ბელადი — ამხ. ი. სტალინი

# ალაზანი დააბეს



ალაზნის არხი

ძვ. ალაზანი ათასწლოვან ბუდე-კალაპოტიდან მშრომელ კოლმეურნეების მიერ გაპობილ უზარმაზარ არხში გადაასახლეს და მისი ისტორიული ამპარტავნობა კახეთის მშრომელი გლეხკაცობის გარკვეულ სამეურნეო მიზანს დაუმორჩილეს.

ალარ არის შეუპოვარი და დაუდეგარი ალაზანი..,

კავკასიონის მთების გაზაფხულის ნამქერებისაგან ადიდებული და გაცოფებული მისი ტალღები ვეღარ წალეკავს ღარიბ გლეხების ყანებს და ქიზიყელ მწყემსების ფარეხებს.

გულზვიადი ალაზანი, რომელიც თავისი მრისხანე და დაუმორჩილებელი სტიქიით უამრავ ზიანს აყენებდა ადგილობრივ მოსახლეობას — დღეს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის პრაქტიკულ ამოცანებს ემსახურება.

კოლექტიური შრომის ენტუზიაზმით ანთებული კახეთის გლეხკაცობამ გმირული და თავდადებული შრომით გაარღვია ალაზნის ველის უტეხი და ყამირი გული; — პანკისის ხეობასთან დააბა დიდი ალაზანი და ბეტონ-თუჯის სათავო ჯებირებით სოციალისტური მიმართულება მისცა მის უაზრო მდინარეობას.

ალაზნის არხის სარწყავად გამოყენება შესაძლებელს ხდის იმ თვალუწვდენელი მინდვრების კულტურულად დამუშავებას, რომელიც ცნობილია „ალაზნის ველის" სახელით. საბოლოო ანგარიშით აღნიშნულ ველზე ალაზნის არხი მორწყავს 52.000 ჰექტარ სათესლო მიწას, რომელიც თავის ნაყოფიერებით უდიდეს როლს ითამაშებს მთელს ჩვენს ეკონომიკაში და, რომელიც თითქმის სრულიად გამოუყენებელი იყო სამელიორაციო და საირიგაციო საშუალებათა უქონლობის გამო.

უკანასკნელად. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედებითი ენერგია და მის აღმშენებლობითმა ინიციატივამ გადასჭრა ალაზნის ველის სარწყავად გამოყენების ისტორიული პრობლემა.

ამიერიდან ალაზნის ველის ნათესებს ვეღარაფერს დააკლებს ზაფხულის პაპანაქება. ალაზნის არხის პირველი უბანმა უკვე მორწყო 5.000 ჰექტარზე ტეხნიკური კულტურების ნათესები და ის გადარჩენილ სიცხისაგან საზარლად დახეთქილ ველებზე უკვე ბიბინებს ბრინჯის, კანაფის და ბამბის პირველი ბარაქიანი მოსავალი.

მომავალში ალაზნის არხის ექსპლოატაციის მაღალ ნიადაგზე დაყენება და ამ არხით სარგებლობის ორგანულად მოგვარება უდიდეს სამსახურს გაუწევს ძვირფასი და ტეხნიკური კულტურების განვითარებას; გაადიდებს მოსავლიანობას და ხელს შეუწყობს მსხვილ კოლექტიურ მეურნეობების მშენებლობას.

უპირველესად ყოველისა საჭიროა აღნიშნული არხის გამოყენების რაციონალიზაცია; ამ საქმის დროზე და გონივრულად მოგვარება კიდევ უფრო გაადიდებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ამ უდიდესი მიღწევის სამეურნეო ეფექტს.

სარწყავი არხები საქართველოში არაჩვეულებრივად გამრავლდნენ. არხების რიცხვი მომავალ აღმშენებლობასთან და ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზრდება. ამისათვის ამჟამად ჩვენი მთავარი ყურადღება უნდა მოვანდომოთ მშრომელი გლეხკაცობის და კოლმეურნეების მომზადებას აღნიშნული არხის წარმატებით გამოყენებისათვის.

ზემოხსენებული არხის მიზანშეწონილი გამოყენება საშუალებას მოგვცემს ტეხნიკური და სპეციალური კულტურებით ავაყვავოთ ის ადგილები, რომელიც ასეულ წლების განმავლობაში დაფარული იყო ძეძვით, ჩალით, შამბით და სადაც მინდვრის მაცხოვრებლები, ჭია-ღუა და სხვა პარაზიტები თავისუფლად ბუდობდნენ.

ალაზნის არხის საექსპლოატაციო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოების მოთავების შემდეგ სავსებით მოისპობა ის ჭაობები და აშმორებული წუმპეები, რომელიც ეხლაც ავრცელებს ტროპიკული მალარიის ბაცილებს და რაც დიდად გამანადგურებელ გავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

გარდა ამისა, 1931 წლის დამლევს ალაზნის არხის მთავარ მაგისტრალზე (სოფ. ბაკურციხესთან) დაასრულებენ ძლიერი ჰიდრო - ელექტრო - სადგურის აგებას. ეს სადგური უდიდეს როლს ითამაშებს კახეთის სოფლის მეურნეობის ტეხნიკური ბაზის რეკონსტრუქციის საქმეში. აღნიშნული სადგური შესაძლებელს გახდის ტრაქტორთან ერთად ელექტრო გუთნის გამოყენებას სოფლის მეურნეობაში: იგი ხელს შეუწყობს ყოფაცხოვრების დახავსებული ნაშთების აღმოფხვრას და სოციალისტური კულტურის ცხოველმყოფელ სინათლეს შეიტანს ეკონომიურად მძლავრ, მაგრამ კულტურულად ჯერ კიდევ ჩამორჩენილ კახეთის მშრომელ მოსახლეობაში.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით, ალაზნის ველზე მოეწყობა მარცვლეული კულტურის და მესაქონლეობის უდიდესი საბჭოთა მეურნეობანი. გარდა ამისა, იმავე ველზე შეიქმნება მებამბეობის, მებრინჯეობის და კანაფის სპეციალური კოლექტივები, რომელნიც გადამწყვეტ როლს ითამაშებენ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ნედლი მასალით მომარაგების საქმეში.

დაძლეულ იქნა კულაკების წინააღმდეგობა, სინამდვილემ მტვრად აქცია ალაზნის არხის მშენებლობის ჩაშლის მოსურნეთა ოცნებები და ალაზნის არხის მშენებლობა დიდი წარმატებით დასრულდა. აღნიშნული არხის სახით ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას კიდევ შეემატა ერთი თვალსაჩინო გიგანტი.

აღვიჭურვოთ ახალი საზოგადოებრივი დისციპლინით და კოლექტიური შრომისმოყვარეობით გამოვიყენოთ სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე მოპოვებული ყველა მიღწევები.

ავამაღლოთ და გავაძლიეროთ კახეთის მშრომელი გლეხკაცობის სიამაყის — ალაზნის არხის გამოყენება და და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ მისი დაკვრითი მუშაობის შეფერხება.

აკ. ჭოჭუა.

# ხ ე ო ბ ა*)

ადამიანები მუშაობდენ ფერდობებში.—ფერდობები სპარსული ნოხებივითაა გამოკიდებული პიტალო კლდეების შიგნით.

მიწის სიძვირის გამო მთელი სოფლის გლეხობა მოშორებით მთებში მიდიოდა სამუშაოდ, იქ ჰქონდათ ყანები, იქ მისდიოდათ ღვთის სარჩო. გაისმოდა მოტეხილ ჩირგვების ხმაური და ღელეში გადაშვებულ ხორხის გამუდმებული წრიალი.

ზესოს ადრიანათ გაეყვანა ხარები და ხნავდა.

გლეხები ხნავდნენ ყანებს.—გადაშავდა ტყეში ჩამჯდარი ახოები.

მაგრამ ვისია ეს? ვისია ობლად დარჩენილი მიწის ნაჭერი? დარჩენილი ყამირი—ფიქრობდენ გამვლელები.

ნაკვეთი ქვრივ ლიზას ეკუთვნოდა.

— რა უკან მიდის მაგათი საქმე!

— ეჰ, რას იზამ ჩემო იაგორ!

— ძალიანი კი იყო ცხონებული ვასილა?

— ქმარზე ამბობ?

— ჰო ქმარზე! ასეთია ცხოვრება!

— მაგითია, აბა... ია-ვარდი ხომ არ თენია წინ, რომ ცოცხლობ უნდა იმოძრავო, იშრომო თუ არა ზეროგის...

— ჩემი ხარები აშვებულია!

— ჩემიც...

— აგერ კაცო, ზესოს დაუძახოთ, იმის ყანაზეა გამოზმოლი, გამოხნავს.—არაფერია, არაა ბევრი. ძაღლის ენასავითაა გაგრძელებული!

როცა ორღობეები თანდათან სხივებით ახმაურდა, ზესომაც ამოაძრო კევი კვალიდან, გაწმინდა და ხარებს უღელზე აკიდა.

უკვე ბნელოდა, ზესომ რომ ლიზას ჭიშკარი შეაღო. თიქრობდა: ვაი თუ ტითო სახლში იყოსო. ყური მიუგდო. და დარწმუნდა, რომ სახლში არ იყო. გაბედა და ჩაახველა.

— ვინ არი, ა?

მოისმა სუსტი ხმა.

— მე ვარ, ზესო, მე...

—მოდი ბოშო, მერე მე რას მერიდები?

— არა, ტითო ხომ არ არისთქო სახლში,—და შესვლისთანავე დაამატა: აჰა მშვიდობა!

— მიდლობ!—სთქვა ლიზამ და მიუთითა კუთხეში მიდგმულ სამ-ფეხა სკამზე.

ზესომ გრძელი მუსაიფი გააბა: ლიზას ოჯახისადმი საერთო პატივისცემის და სიყვარულის, მისი პატიოსან ქმრისა და ლიზას ოჯახის ნამუსის დაცვის შესახებ და ბოლოს:

— რათა, რათა ჩემო ლიზა, ეგრე პატიოსან ხალხს, ოჯახს, რათ უნდა ჩამოაშოროს, შეამძულოს თავი ტითომ, ა? ყანა გამოვიხანი, რაც შემიძლია გეხმარები...

— რა ვქნა ჩემო ზესო! ხო ხედავ აღარ შემიძლიან, აღარ.. და იმისაც ჩემი არაფერი ესმის, არაფერს მიჯერებს. მთელი დღე ვეჩიჩინები, როცა კი არის სახლში, მაგრამ კედელს ცერცვი შეაყარე...

— ეჰ, რას იზამ ჩემო ლიზა! არა სჯერათ უფროსებისა არა! შეტრიალდა, გადაბრუნდა დრო!—და ამ სიტყვებზე ხელის გულებს წალმა უკუღმა ატრიალებდა, არხევდა და თითქო უნდოდა მოქმედებითაც დაემტკიცებინა ის, რასაც ეუბნებოდა. ლიზას ერთგული კარებთან კედელზე მიყუდებული იყო, ფეხები გადაჯვარედინებული წინ გამოეცოხრებინა, ყურს უგდებდა მოხუცის ვინისას, ქაქანს, მერე ცოტა დაფიქრების შემდეგ ნუგეშსა სცემდა:

— არა უშავსრა... ნუ ჯავრობ, რას იზამ. ფიქრებით და დარდით არაფერი გამოვა. არაფერი გაკეთდება. ჯერ ახალგაზრდაა, გაივლის ხანი, დრო და მერე გაიგებს, ჩახვდება თავის საქციელს... ეხლა კი ლამი მშვიდობისა!

— მოიცა, ზესო, მოიცა, რა მიგაჩქარის!

— რა იყო?

— ნუ მიჩქარი, შეგჭამ თუ როგორ? იქნება არ კადრულობ, ზესო, ჩემთან ყოფნას, გაჩერებას, ლაპარაკს? ვაი ჩემი ბრალი... რომ მოვხუცდი მიტომ? მე არ შემიძლია ადგომა, მიდი, მაგერ ბოთლში ცოტა ღვინოა და ჭადის ნატეხიც მანდ აგდია...

ზესო შეყოყმანდა, თავი შეარხია, ქუდი შეისწორა და შემდეგ მივიდა სკივრთან:

— ხათრს არ გაგიტეხ, ჩემო, ლიზა!..

ზესომ ჭიქა მოძებნა, ჭადი ამოაძრო მაყრალ ჭურჭლიდან, ხელის შეხებაზე ჭადში იგრძნო სინოტივე და ცოტა არ იყოს კი შეკრთა თავვების წრიალზეც.

დადგა სიჩუმე და ღვინის ლიტრიდან ხანგრძლივი კრიახი.

— ლიზა!—ჩაახველა ბოლოს და ცალი თვალით მრუდეთ გადახედა.

— რა იყო? რას იტყვი ახალს?

— რაღაც რო უყიდია ტითოს. ჰო უყიდია. ასე მოვკარი ყური მეზობლებში, ჩუმათ მეუბნებოდენ, არა თქვა, არ გაამხილო, არავისთან წამოგცდესო, მაგრამ დასამალი რა არი, არაფერი, ჰო და: რავა მოგწონს, აი... აი, ეს ქაღალდი, აგერ, აგერ სად დაუდევს, შეუძვრენია!—და სკივრის თავზე ბლომად დაყრილ გაზეთებსა, ჟურნალებსა და ქაღალდებიდან ამოაძრო.

**ობლიგაცია 04674. სერია 17.**

— ჰა, რაიო!—ყური გამოკრა და წამოიწია ლოგინიდან...

ზესო უყურებდა, რომ მის ხელზე რაღაც ბრჭყვიალებდა: მგონი ოქროულია, ჩამზითვარი, პაპისეული გაითიქრა მან. როგორ შემოყოლია, ამ ბებრუხანას?

— ის ქაღალდითქო! უმატა ცილოს.

— რა, რა ქაღალდი, რა მითხარი ადამიანო!

—აი, ეს, ეს!

ზესო ჩქარ-ჩქარა ისროდა სიტყვებს, და სიტყვები ლიზას ყურთან მაშხალებივით სკდებოდა, მის თვალებში ჩაჯდა გაკვირვება: რა ქაღალდი, რასია, რისთვის მოუტანია ტითოს?

— რა უბედურია ტითო! საიდან იყიდა, სადა ქონდა ფული, მარა დიდი ეშმაკია, დიდი, იქნებ ბანკიდან გამოიტანა!

ბანკიდან? საკვირველია! ძნელი წარმოსადგენია რა რიგი საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ასეთმა თქმამ. როგორ წამოიყრანტალა ზესომ. ლიზას შვილის ასეთი მოქმედება ჯერ არ გაეგონა, არ იცოდა ან რას იტყოდა საყვარელ შვილს? ერთად ერთ ნუგეშს? ტითო იმისი ერთად-ერთი ღვიძლი, სიცოცხლე-დღენი, ოჯახის მთავარი ძარღვი, რათა ქნა ტითომ, რათ მოიქცა ასე?—და მიხვდა, მიხვდა რის ფულიცაა—როგორ მოუვიდა ასეთი ამბავი ტითოს?

საკვირველია და საოცარი!

მან ეხლა იგრძნო, რომ თვალები მისდა უნებურათ რაღაცას ეძებდნენ.

არა, არ უნდა ექნა! როგორ გაივლო გულში ასეთი რამ? ეს უთუოდ თითონის ფულია. როგორ მოხდა, რომ მისი ხორციით, სისხლით მოვლებული ფული ოჯახში შემოვიდა? გაიპაპანა? თვალებში გაირბინა დეთუნიმ, თითქოს ჭიშკართან მოსულიყო, საბრალოდ ბლაოდა, ზმუოდა, რქებით აწვებოდა საკეტს, კარების გაღებას თხოულობდა: შემიშვითო. ყურებში ხმები იბნიდა, გამოუსვლელ წიწილასავით წივის.

— ზესო!—მიუბრუნდა ბოლოს და თავი მიიდო მისკენ.

ზესო შეკრთა და მოიხედა:

— ჰა, ..., რაიო, რას იტყვი?

— ზესო... ზესო.. წეიდი ეგ, თუ გამოდადგება, მოიხმარ და ნაგუთიც გამომიხანი, რახან ასეა...—თავისუფლად, უნებურად თუ მოსაზრებით მოადგა ის სიტყვები მის დაღვარიელებულ გონებას, თითქოს ხსნის რაღაც იმედი ქონდა ამ სიტყვებს, თითქო ეს იყო გამოსავალი.

— რაღა... ტითო... მერე ტითო რას იტყვის, რას იზამს?

არც კი მოელოდა იგი, რომ ასე ადვილათ მოხდებოდა ის. მაგრამ მერე, როგორ მოიქცეს? რა უყოს ამ ქაღალდს? სად უნდა მიიტანოს, როგორ მოიხმაროს?

წასვლა რომ დააპირა, სწორედ იმ დროს შემოაღო სიმღერით კარები ტითომ და თვალებში შეაჩერა. მან დინჯათ გადახედა, მერე გაჩუმდა, ისე თითქოს შეფიქრიანდა

ვინ იცის იქნებ შერცხვა ზესოსი?

ზესოზე დიდი ეჭვი ქონდა... იცოდა: რომ ზესო მისას საკაიკაცოდ არ დადის, არც მოვა. ამის გამო ბოლოს დაიწყო იმის ცდა, რომ როგორმე ზესო არ შესულიყო მის ოჯახში, არ მიკარებოდა მის კარ-მიდამოს.

**აკ. გოცირიძე**

* დასაწყისი იხ. „დროშა" № 11 (35).

ლაჩი ამომწვარი იყო. ალბად აქ ცეცხლი ენთო. ნაცრიდან თავი ამოეყო ახალ ბალახს. ბუჩქებს უკან დიდი ამომშრალი ხრამი მდებარეობდა, რომელიც ნახევრად გამხმარი ფოთლებით იყო სავსე. ყველგან ძველი ტომრები და სხვა ჯღანი ეყარა.

ხშირი ფოთოლი ამ ადგილას სახურავივით იყო გადაფარებული.

— მოვედით,—წაილაპარაკა კასიდიმ და ხრამზე უჩვენა.

ქალმა ჯერ მას შეხედა, მერე ხრამს. ჩუმი ბუტბუტით მიუახლოვდა ხრამს. ფეხით აიქოთა ფოთლები. მათი სუნი შეიყნოსა და თავისი ჩანთა მიწაზე დადო. შემდეგ მოუბრუნდა კასიდის და საშინლად დაიყვირა:

— ეხლა ვეღარ გაბედავ მიმატოვო, წყეულო, ეხლა მიშველე... დრო უკვე დადგა...

— ჩუმად, ჩუმად, რაღას ჩხუბობ! შენ გინდა, რომ მთელი სოფელი აქ მოიყვანო? დაჯექი აქ და ჩუმათ იყავი. ცხენს წავიყვან და ისევ დავბრუნდები. საჭმელს მოგიტან!

ქალი მძიმედ დაეშვა ფოთლებზე და თვალები დახუჭა.

— იქნებ, რამე გინდა?—ჰკითხა კასიდიმ.

ქალმა თვალები გაახილა. ქვედა ტუჩი ჩამოშვებოდა.

— მე არაფერი მინდა, ეხლა შენი რიგია... შენა ხარ ყველაფერში დამნაშავე... შენ უნდა მიშველო...

— სწორედ ამას გეკითხები, ხომ არაფერი გინდა მეთქი?

მეგიმ ღრმად ამოიოხრა და ისევ თვალები დახუჭა.

როდესაც კაცი წავიდა, მან შეშინებულმა მიაძახა:

— იცოდე, დაბრუნდი, თორემ...

კაცმა არაფერი უპასუხა. ქალი ისევ დაწვა და ისტერიულად აქვითინდა.

— მეგი კონროი,—ბუტბუტებდა მიმავალი კასიდი,—ის არის, ღმერთმანი ის არის...

მას მოაგონდა, როგორ მოხდა ყველაფერი. ეს იყო გასული წლის სექტემბერში. მას შეხვდა მინდორში, როცა სამუშაოდან ბრუნდებოდა. ის ღობის ძირას იჯდა და რაღას აკეთებდა. არც მას, არც ქალს, ხმა არ ამოუღიათ. წაიქცია ქალი ბალახზე... ქალმა ერთი შეშინებულად დაიყვირა და გრძნობა დაჰკარგა. შემდეგ წამოდგა და საჩქაროდ წავიდა. როდესაც მიდიოდა მობრუნდა... ქალი პირქვე ეგდო. მეორე დღეს ისევ განმეორდა. ოქტომბრის შუა რიცხვებში ქალი სხვა ფერმაში წავიდა. ეხლა ის აქ არის...

როდესაც მიკი ფერმაში მოვიდა, ცხენი თავლაში დააყენა და საჭმელი დაუყარა. მერე ეზოში გავიდა. იქ მან ხელები დაიბანა და ფერმის პატრონს გამოელაპარაკა. შემდეგ წავიდა სამზარეულოში, სადაც მას საჭმელი მიაწოდეს. როდესაც შეჭამა, განაცხადა, რომ ღამე საყვარელთან მიდის ძაღლით და ითხოვა პური და რძე. ამის შემდეგ ავიდა თავის ბინაში, სადაც საწოლზე ჩამოჯდა და ისე იჯდა დაღამებამდე. როდესაც დაღამდა, აიღო საჭმელი და [illegible] ბიდონი, რომელიც ხრამისკენ მიჰქონდა. მან ქალი მძინარე დახვდა.

ეხლა ხრამში ძალზე ბნელოდა. ის ქალის გვერდით ჩამოჯდა. სიბნელეში ოდნავ არჩევდა ქალს. ქალი მოუსვენრად იყო და ბორგავდა.

ღამურები ხმაურით დაფრინავდნენ. ჰაერი შეხუთული იყო. სიჩუმეში დროგამოშვებით გაისმოდა ხმელი ტკაცანი. ეს გადახლართული ტოტები მოიმტვრეოდნენ ერთმანეთს. ყველა ეს ხმაური კასიდის აშინებდა. ის ოდნავ შეეხო ქალს, რომელიც მის გვერდით იწვა, მაგრამ მაშინვე შეჩერდა. მოიხედ-მოიხედა. ტყე სულ უფრო მეტად აშინებდა. მაშინ ჯანჯღრევა დაუწყო ქალს.

— ჭამა გინდა, მეგი?

ქალი შეკრთა და თავი ასწია.

— რა არის?—იკითხა მან.

უცბად მას შეეცოდა ქალი და უნდოდა რაიმე ტკბილი სიტყვა ეთქვა, მაგრამ მისი სახე ისევ ისე უხეში იყო და მან არაფერი სთქვა.

— დაბრუნდი?—დაილაპარაკა ქალმა.—ღმერთო ჩემო! ალბად მოვკვდები! ღმერთო შემიწყალე!

ქალი აკვნესდა ახალი ტკივილებისაგან და მუცელზე წაივლო ხელი.

— საჭმელი მოგიტანე.

როდესაც კასიდიმ ქალის კვნესა გაიგონა, სიბრალულის გრძნობა გაქრა. მას მოაგონდა რისგან არის გამოწვეული ეს კვნესა, მოაგონდა, რომ როგორმე უნდა დაეხმაროს...

ქალი წამოჯდა და ჩუმად ბუტბუტი დაიწყო. ეს იყო მშობიარე ქალის რაღაც უცნაური ბუტბუტი.

მიკს ისევ შეეშინდა.

— იქნებ უკეთესია, რომ შეჭამო?—ჩურჩულით ჰკითხა მან.

— ვინ გთხოვა საჭმლის მოტანა,—გაბრაზებულმა წამოიძახა ქალმა,—მე შენთვის არ მითხოვნია. მაგრამ, შენ უნდა დამეხმარო, გესმის?

— ღვთის გულისათვის, მეგი,—სთქვა მან და დაიჩოქა,—დამშვიდდი. შენ მაღლად ამბობ რაიმე სიტყვას. რად მელაპარაკები ასე? რაც მოხდა, მოხდა. ეხლა დამშვიდდი.

— შენ უნდა მიშველო,—თავისას გაიძახოდა ქალი.

ქალმა ხელი გასწია მიკისკენ.

— მომეცი, დამალევინე.

მიკმა მიაწოდა ჭიქა და პური. საჭმლის დანახვაზე მეგიმ საშინელი შიმშილი იგრძნო. მივარდა საჭმელს და სულმოუთქმელად გაათავა. მერე წამოწვა, ისევ ადგა და ჩურჩულით სთქვა:

— ო, ეხლა, რომ შოკოლადი მქონდეს—და ისევ დაწვა.

მიკს უცებ მოაგონდა, რომ თუ ქალი მოკვდება, ის მეტად არასასიამოვნო ისტორიაში მოხვდებოდა.

— მეგი,—სთქვა მან,—ექიმთან წავალ... არ... იქნებ მღვდელი მოვიყვანო?..

— დამეხსენი,—წამოიძახა ქალმა,—ნეტავ სულ არა გხედავდე! გასწი!

— კარგი,—სთქვა მიკმა,—მე წავალ.

— არა, არა,—დაიყვირა მეგიმ და წამოიჭრა,—დარჩი აქ, მიკ! ჩემთან დარჩი! მარტო არ დამტოვო, მეშინია! ღმერთო, როგორი ტკივილები მაქვს. შენ უნდა მიშველო, გესმის, არ დაგავიწყდეს, თორემ უმეცნოდ დავიღუპები.

ქალი საშინლად აღელვებული იყო. მიკს ისევ შეეშინდა. მოხვია ხელი და ალერსი დაუწყო, მაგრამ ქალმა საშინელი ტკივილებისაგან მხარში უკბინა.

— მომკალ,—ყვიროდა ქალი,—რატომ არა მკლავ? მომეცი საწამლავი! ღმერთო ჩემო, მე სიკვდილი მინდა. წყეულიმც იყოს ჩემი გაჩენის დღე!

— ჩუმად, ჩუმად,—ჩურჩულებდა მიკი,—ნუ ყვირი, გაიგებენ!

— ჩემთვის სულერთია,—და სასოწარკვეთილებით დაუწყო ღმერთს გმობა.

შემდეგ გაჩუმდა. ხრამში სიჩუმე ჩამოვარდა. არავითარი ხმაური არ ისმოდა. მთვარე ტყის თავზე ამოვიდა. მისი ყვითელი სხივები კრთოდნენ ტოტებში. ეხლა ქალი ბოდავდა. უცბად მან გადაიხარხარა. სიცილმა შეაშინა მიკი. მაგრად მოეხვია ქალს, ელერსებოდა, ჰკოცნიდა და მუცელზე ლოყას ადებდა.

— გამიშვი,—დაიყვირა ქალმა, მძლავრად წაავლო ყელში ხელი, ისეთი ძალით შემოჰქნია, რომ მიკი დარეტიანებული წაიქცა. ასე გავიდა ცოტა ხანი. უცბად მიკმა იგრძნო, რომ მოხდა რაღაც უცნაური. ყვირილი შესწყდა. გაახილა თვალები და ქალს შეხედა. მთვარის ყვითელი სხივები დაჰფენოდა სახეზე, რომელიც კასიდისკენ იყო მიპყრობილი. ქალი ჩუმად უყურებდა კასიდის, მაგრამ მისი თვალები რაღაც საშინელს ამბობდნენ. უცბად გაისმა ყვირილი. კასიდი შეკრთა. რაღაცამ დაიკვნესა იქვე, მის ახლოს. კასიდიმ შეხედა იმას, რაც მის გვერდით იდო და თვალმოუშორებლად წამოდგა.

ქალმა ხელი გაიშვირა, თითქოს უნდოდა მისთვის ადგომა დაეშალა.

— ჰა? რა?,—ბორძიკობდა კასიდი.

— სად მიდიხარ?—ისევ ჰკითხა ქალმა.—მე შენ რა გითხარი?

— ჰა?

— მიხვდი?

— რას?

— იმას, რაც უნდა გააკეთო?

— დამანებე თავი. მე წყეულო...

ქალი დააშტერდა მიკს, რისგანაც [illegible]. ხელახლა შეხედა იმას, რაც მის გვერდით იდო. ერთი წუთით უდიდესი სინაზე იგრძნო ამ არსებისადმი, მაგრამ მეორე წუთს ჩუმად წამოიყვირა და შიშით ხელები ლოყებზე მიიდო. მარჯვენა ხელი თავზე დაიდო, თითქოს ვიღაცისაგან თავს იცავსო და წაილუღლუღა:

— ხო, მე ვიცი... დამანებე თავი... მაღალმა ღმერთმა დამსაჯოს, თუ არ გავაკეთო...

მას თვითონ შეეშინდა თავის ნათქვამის.

— თავი დამანებე!—უძლური სიბრაზით წამოიძახა მან.

მიკი დაიღუნა და ხელები ხმელ ფოთლებზე გაიწვდინა. შემდეგ ფათურით აიღო თავისი ჩანთა.

— რა შვრები?—ჩურჩულით ჰკითხა ქალმა.

— თოკი გაქვს?

ქალმა პასუხი არ გასცა. მიკს ხელახლა შემოესმა წკრიალებული ყვირილი. ერთი შეიგრძნა, გადაალაგა ქალს, იმ მყვირალს ტომარა გადააფარა და გულზე მიიკრა.

შემდეგ სასწრაფოდ ტყისკენ გასწია.

ქალმა თვალები დახუჭა. მძიმე სუნთქვით ხელები ყელზე შემოიჭდო და ოდნავ წამოიყვირა. ის დაჭიმული უსმენდა მიკის ფეხის ხმას. როდესაც ხმა მიწყდა, ქალი მთლად აკანკალდა და ატირდა.

— ღმერთო, შემიწყალე,—ჩურჩულებდა ქალი.—წმინდაო ღვთისმშობელო, შემიბრალე!

ტყიდან მოყრუებული ხვნეშა მოისმა. ქალი გაირინდა და სმენად გადაიქცა. ეს კასიდი ბრუნდებოდა. კასიდი ხოხვით მოდიოდა მასთან. ქალი ჩუმად იყო და სიძულვილით უყურებდა კასიდის.

— სად იყავი?—ჩურჩულით ჰკითხა ქალმა.

მიკი ჩუმად იწმენდდა ხელებს მიწაზე.

— სად იყავი?

— ჰა?—წაიბურტყუნა კასიდიმ.—ის ტომარაშია... მე ის ხის ფესვებს ქვეშ შევტენე... აი იმ ხის, რომელიც წყლის პირას დგას...

ერთ წუთს სიჩუმე სუფევდა.

— შენ მოჰკალი ჩემი ბავშვი,—ჩახრინწული ხმით დაიძახა ქალმა,—მკვლელო...

მიკმა თავი ასწია და ქალს გაკვირვებით შეხედა. ხელებს ისევ მიწაზე იწმენდდა.

— სად არის ჩემი ბავშვი?—ისტერიულად დაიყვირა ქალმა.—რა უყავი მას?

— რაო? განა შენ არ...? ჰა?

— წყეულიმც იყავ! მომეცი ბავშვი! მომეცი! სად არის?

— რაო? რას ამბობდი? რა გინდოდა?

ქალი ბარბაცით წამოდგა.

— მეგი, მეგი,—ჩურჩულებდა მიკი და ფეხებზე ეხვეოდა. ქალმა ერთი საშინლად დაიღრიალა და ორივე ხელებით სილა გააწნა. მიკი ატირდა, ხელები გაუშვა და მიწაზე დაეცა.

ხმამაღალი ყვირილით ქალი გზისაკენ გაექანა. მიკი დაედევნა მას, მაგრამ ხის ჯირკვს ფეხი წამოჰკრა და თავით მეორე ხეს მიეხეთქა.

ამან გამოაფხიზლა. ის გაეშურა ტყისკენ ფერმის მიმართულებით. მირბოდა და სულ ყვიროდა.

— აა!... ა-ა-ა-!...

. . . . . . . . . .

გათენებისას პოლიცია მივიდა მის ბინაზე და წაიყვანა სამმართველოში.

მეგი კონროი იქ დახვდა.

— ეს არის—ცივად სთქვა მან და კასიდიზე მიუთითა.—ჰკითხეთ მას, რა უყო ჩემს ბავშვს!

— მე ის ტომარაში ჩავდე—დაიწყო მიკმა—და ხის ფესვებს ქვეშ შევტენე, რომელიც წყლის პირას სდგას. ხომ თვითონ მეხვეწებოდა, რომ დავეხმარებოდი როგორმე...

კასიდი სამი წლით იძულებითი სამუშაოებზე გაგზავნეს.

# თეატრის რეკონსტრუქცია

დღეს, თითქმის, ყველანი ვლაპარაკობთ, რომ რეკონსტრუქციის პერიოდში, ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში საჭიროა შემოვიღოთ ახალი სისტემები, ახალი მეთოდები ამის განხორციელებისათვის ვიღებთ კიდეც შესაფერ ზომებს, ვაარსებთ უმაღლეს სასწავლებლებს, ინსტიტუტებს, სპეციალურ ტექნიკუმებს და ვქმნით ახალ ცხოვრების მშენებლობისთვის ახალ კადრებს. მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი დიდი ხარვეზი, რომელსაც ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევთ, ეს არის თეატრი.

ბევრს, რასაკვირველია, გაუკვირდება ეს ამბავი, რომ თეატრს ყურადღებას არ ვაქცევთ! რასაკვირველია, დიდი სიცრუე იქნება იმისი თქმა, რომ ვითომ საბჭოთა ხელისუფლება თეატრს ყურადღებას არ აქცევდეს. პირიქით, არც ერთ დროს და არც ერთი ხელისუფლება წარსულში თეატრს იმდენ ყურადღებას არ აქცევდა, როგორც საბჭოთა ხელისუფლება. კერძოდ, ქართულ თეატრს წინად სიზმრადაც არ ღირსებია ისეთი ყურადღება, როგორც დღეს. ქართული თეატრი მხოლოდ დღეს შეიქმნა უზრუნველყოფილი და მაზედ ხელისუფლება აუარებელ თანხებსაც ხარჯავს. ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენი ხელისუფლება დაინტერესებულია ქართულ თეატრის კულტურის განვითარებაში, მისი ძირითადი გარდაქმნაში, გადახალისებაში, ახალის შექმნაში.

დღეს, ქართული თეატრის მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილია ბუტაფორიაზედ, გარეგნულ მხარეზე, რაც შეიძლება მეტი დაიხარჯოს დეკორაციებზე, ნივთებზე და ყველაფერზე, რაც თეატრისათვის შეიძლება დიდად არ იყოს საჭირო. მართალია, თანამედროვე თეატრს მეტის-მეტად დიდი ესაჭიროება მხატვარი, მაგრამ ისეთი უფლება კი, როგორც ქართულ თეატრში მოიპოვა მხატვარმა, შეიძლება თამამად ითქვას, სხვაგან არც ერთ თეატრში არ არის.

მაყურებელი თეატრის ხელოვნებას სწვდება მსახიობის საშუალებით. რადგანაც სცენაზე მსახიობი აღარ არის, მის მაგიერობას, მის ადგილის ამოვსებას კისრულობს მხატვარი. მხატვარი კი ვერასოდეს ვერ ამოავსებს მსახიობის შემოქმედებას. თქვენ შეგიძლიათ დახატოთ საუცხოო დეკორაციები, შეგიძლიათ ისეთი დეკორაციებით მაყურებელი გადარიოთ ერთი წუთის... მაგრამ თუ ამ ერთი წუთის შემდეგ მსახიობი არ გამოვიდა სცენაზე, არ ალაპარაკდა თავისი ენით, თავისი ტანით, კონთებით, ტემპერამენტით—მაშინვე იტყვიან: ძირს ფარდა!

რა უბედური, რა საბრალო ყოფილა ჩვენი მხატვარი სცენაზე! მისმა მოჯადოებულმა ფერწერამ მისმა მშვენიერმა შემოქმედებამ, ერთ წუთზე მეტი ვერ გააჩერა, მაყურებელი უმალ მობეზრდა და უცვლია მხატვარს, და რაც გინდა გენიალური მხატვარი არ მოვიდეს თეატრში—ყველას ეს ამბავი დაემართება.

სულ სხვაა მსახიობი.

მსახიობს შეუძლიან ყოველგვარ დეკორაციის გარეშე გამოვიდეს სცენაზე და მაყურებელი გააჩეროს იმდენი ხანი, რამდენიც მას სურს, მას თავისი ხელოვნებით და ოსტატობით შეუძლიან საქსებით დაიპყროს მაყურებელი.

მსახიობს, თავის ხელოვნების ვირტუოზს, შეუძლიან მაყურებელი დაიპყროს არამც თუ მხატვრობის გარეშე, არამედ დრამატურგიის გარეშეც. თქვენ იაპონიის თეატრ „კაბუკში" ნახავთ დიდებულ მსახიობს იტიკავა სადანძის, რომელიც მაყურებელს სულგანაბულს იპყრობს თავისი დრამატიული პაუზით, მთელი **ათი წუთი!**

დღეს ჩვენი თეატრი მოიკოჭლებს სწორედ მსახიობის ხელოვნების მხრივ. მე, რასაკვირველია, გამონაკლისზე არა მაქვს ლაპარაკი. ჩვენ გვყავს რამოდენიმე კვალიფიციური მსახიობი, თავისი ხელოვნების ოსტატნი, მაგრამ ეს მხოლოდ რამოდენიმე, რომელთა რიცხვი მეტად მცირეა, მე ვლაპარაკობ აქტიორულ მასაზე. მაგრამ გვყავს კი ეს აქტიორული მასა? მე ვამბობ: არა! ჩვენ გვყავს სცენის მოყვარეთა მასა, რომელთაც დიდი ლტოლვა აქვთ თეატრში სამსახურისა. მაგრამ ეს სცენის მოყვარეთა მასა, რჩება როგორც მასა ყოველგვარ ორგანიზაციის და კვალიფიკაციის გარეშე. მართალია, ზოგიერთი ეს სცენის მოყვარეები გაპროფესიონალდნენ, მაგრამ ეს სამსახურის მიხედვით, რადგან მათ პროფესიონალობისა არავითარი ახასიათებთ, ცარიელ სახელის მეტი, ისინი მოკლებულნი არიან სასცენო ხელოვნების ოსტატობას, გაუწვრთნელნი, ხშირად თეატრალური ანბანის ცოდნასაც კი მოკლებულნი. მერე ამაში ვინ არის დამნაშავე? სცენის მოყვარენი? რასაკვირველია არა, ამაში დამნაშავე ვართ ჩვენ. ჩვენი თეატრალური ორგანიზაციის მართველნი, ხელოვნების მთავარმართველობა, ხელოვნების მუშაკთა კავშირი და ყველა ისინი, ვინც ხელოვნებასთან ადგას ახლოს და არა ზრუნავენ თეატრის ხელოვნების—მუშაკთა კვალიფიკაციაზე.

ქართულ თეატრს არა აქვს თავისი სკოლა, არა აქვს თავისი ჟურნალი, არა აქვს წიგნები, გინდ პატარა ბროშურებიც კი, რომელიც გავრცელდეს აქტიორთა მასაში და გაუფართოვოს თეატრალურ კულტურის ჰორიზონტი.

დიახ, ჩვენ ვფიქრობთ, ახალგაზრდა ინჟინერთა, ეკონომისტთა, აგრონომთა და ტექნიკოსთა კადრებზე რომელიც ასე საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ არ ვფიქრობთ ახალგაზრდა მსახიობთა კადრებზე, რომელიც ასე მეტის-მეტად საჭიროა ჩვენი თეატრისათვის. ცხოვრება დღითი-დღე წინ მიდის. ხალხის მოთხოვნილება ერთი-ათასად იზრდება. არა რჩება არც ერთი ჩვენი დაბა-ქალაქი, რომელიც არ ითხოვდეს პროფესიონალურ დასს, რომელიც არ აშენებდეს თეატრს და რომელიც არ საჭიროებდეს მსახიობთა ახალ კადრებს, კვალიფიციურ სცენის მუშაკთ! მაგრამ სადა გვყავს მსახიობთა არმია? მომავალში ეს მოთხოვნილება უფრო გაიზრდება, ჩვენ კი არა ვზრდით თეატრის პროფესიონალურ მუშაკებს. ეს ისეთი ნაკლია, ისეთი ხარვეზია ჩვენი თეატრის ცხოვრებაში, რომ თუ დღესვე არ მივაქციეთ ყურადღება, ქართული თეატრი სასტიკი კრიზისის წინაშე დადგება.

თანამედროვე თეატრის მაყურებელი ველარ იტანს ხელოვნების პროფანაციას. თანამედროვე თეატრი თხოულობს საქმის დიდ ოსტატებს, საქმის ნამდვილ სპეციალიზაციას. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თანამედროვე საბჭოთა თეატრი თხოულობს კიდევ ახალ ფსიქოლოგიას, ახალ მსოფლმხედველობის ათვისებას, თანამედროვე ეპოქის გაგებას. თანამედროვე თეატრი, მაშასადამე, ახალ მსახიობს უყენებს მეტად რთულ ამოცანას. ახალი მსახიობი, ახალი უნდა იყოს, არამც თუ თავისი გარეგნული სტილით, არამედ ახალი უნდა იყოს თავისი შინაგანი ბუნებით. ახალი თეატრის ნოვატორული გაცილებით რთული იქნება ძველზე. ახალი თეატრი ვერ მიიღებს ისეთ მსახიობს, რომელიც დაავადებული იქნება ძველი თეატრის სულისკვეთებით, ძველ თეატრს ბევრი დადებითი მხარეები ჰქონდა, მაგრამ ბევრიც უარყოფითი. ეს უარყოფითი მხარე იყო მსახიობის ეგოიზმი, რომელიც მთლიანად წარმოსდგებოდა ინდივიდუალისტურ ფსიქოლოგიიდან.

ჩვენ უნდა დავაარსოთ: **სასცენო ხელოვნების ინსტიტუტი.** ეს უნდა იყოს ნამდვილი კერა, საიდანაც უნდა გამოვიდნენ სასცენო ხელოვნების ოსტატნი.

სასცენო ხელოვნების ინსტიტუტმა ბევრი რამ უნდა დაიტიოს თავის ფარგლებში. მან მარტო დრამატიული სკოლა და სტუდია კი არ უნდა შექმნას, მან უნდა დაამყაროს სასცენო ხელოვნების ნამდვილი სტატუტი. მან უნდა შექმნას თეატრალური ლიტერატურა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, მსახიობთა კლუბი, გამოსცეს თეატრალური ჟურნალი და პერიოდული გამოცემანი, ერთი სიტყვით, უკარნახოს და გეზი აულოს ჩვენი თეატრის ცხოვრებას.

**ვ. ბარრიკი.**

*) წერილი იბეჭდება დისკუსიის წესით.



მარცხნიდან მარჯვნივ: მუშაობენ ფოთის ნავსადგურის გასაფართოებლად. ანძების დამზადება შიათურის საჰაერო გზისათვის. კალინინის სახელობის ქარხანა. ბათომის თუჯის ქარხანასთან დადებულ სოცშეჯიბრების ხელშეკრულების წაკითხვა.



[illegible]



[illegible]

# „ოცდა სამში ვარ“.

[illegible]

[illegible]

[illegible]





რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ნაციონალური თეატრი, სამხატვრო ხელმძღვანელ სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით მთელი შემადგენლობით (130 კაცი) ჩავიდა მოსკოვში. სადგურზე ჩასულთ დახვდნენ მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის საოლქო ხელოვნების კავშირის, მთავარ ხელოვნების, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის, პროლეტარული თეატრის ასოციაციის, რევოლიუციის თეატრის, მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის და სხვ. წარმომადგენლები. მფრინავ მიტინგზე თეატრს შეესალმენ ზემოჩამოთვლილ ორგანიზაციების წარმომადგენლები. სანდრო ახმეტელმა თავის საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა თბილ შეხვედრისათვის

# მოსკოვის პრესა რუსთაველის თეატრის შესახებ

რუსთაველის თეატრის ჩასვლამ მოსკოვში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, მას დიდი ზეიმით შეხვდნენ მოსკოვის სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლები.

მოსკოვის პრესა ფართოდ გამოეხმაურა რუსთაველის თეატრის როგორც ჩასვლას, ისე განსაკუთრებით მის წარმოდგენებს. თითქმის ყველა გაზეთები დიდის აღტაცებით აღნიშნავენ რუსთაველის თეატრის დიდ მხატვრულ დამსახურებას.

აი რას სწერს „რაბოჩი ი ისკუსტვო"-ში ამხ. კრუტი:

„განსაკუთრებული თეატრია! საქართველოს რესპუბლიკის უდიდესი მიღწევა! თეატრალური გამარჯვება! ყოველგვარი ქება რუსთაველის თეატრის მისამართით არა მარტო სამართლიანია, არამედ არასაკმარისიცაა.

**თეატრი მოწყოდებულია ღრმა და სერიოზული გავლენა მოახდინოს ჩვენს სცენიურ ხელოვნებაზე.** რუსთაველის თეატრი თავის ქვეყნის დაარღვს მთელ საბჭოთა თეატრს, რომლის წინაშეც სულ უფრო მწვავედ სდგას შემოქმედებითი მეთოდის საკითხი.

რუსთაველის თეატრი ბრძოლაში იწვევს ძველ ფსიქოლოგიურ თეატრს, უარჰყოფს ყველა მის კანონებს და ჰქმნის თავის ახალ კანონებს".

და მართლაც რუსთაველის თეატრმა შესძლო შემოქმედებითი ახალი მეთოდის შექმნა, შესძლო უარეგდო ძველი, დამყაყებული ჩვეულებები, რომელსაც ძველად თეატრები მიმართავდნენ.

იგივე კრუტი შემდეგ სწერს: „შემოქმედებითი მეთოდმა ყველაზე ნათელი გამოხატულება ჰპოვა „ანზორ"-ში, მოქმედება გადატანილია კავკასიაში. ივანოვის მიერ მოცემულ მასალაზე თეატრმა შექმნა ახალი, დამოუკიდებელი პიესა, რომელიც მთელი თავისი შინაარსით უპასუხებს ამიერ-კავკასიის მასების რევოლიუციონურ მოთხოვნილებებს. მაგრამ ეს ცოტაა, **თეატრმა უარი სთქვა მთელ ფსიქოლოგიურ ბარგზე, რომელიც ახე დამახასიათებელია ივანოვის პიესისათვის".**

„ანზორმა" დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვის საზოგადოებაზე.

ეხება რა აქტიორთა თამაშს, კრუტი ამბობს: „ანზორში" საერთოდ, და განსაკუთრებით მესამე აქტში, ნათლად გამოაშკარავდა აქტიორთა კოლექტივის მთლიანობა. კოლექტივის ეს მთლიანობა მოცემულია განსაცვიფრებელი რიტმით და მათემატიკური სიზუსტით. ასეთივე სიმტკიცეს ვხედავთ „ლამარა"-ში. ყველა წარმოდგენებში მაყურებელი უყურადღებოდ სტოვებს ცალკე გმირებს. **„ცოცხალი ადამიანი" მას აინტერესებს არა თავის-თავად, არამედ მხოლოდ იმით, თუ როგორია მისი დამოკიდებულება გარეშე სამყაროსთან".**

ოლიმპიადაზე „ლამარას" წარმოდგენის შემდეგ ამხ. **ფელიქს კონი** და თეატრის ხელმძღვანელი ამხ. **ახმეტელი** ინახულეს უცხოელმა ჟურნალისტებმა, რომლებიც აღფრთოვანებული იყვნენ თეატრის შემოქმედებით.

ამერიკელმა მწერალმა ქალმა **ანნა ლუიზა შტრონგმა** განაცხადა, რომ ქართული თეატრი, რომელსაც ნიჭიერი ოსტატი ახმეტელი ხელმძღვანელობს, გვაოცებს თავისი მაღალი სცენიური კულტურით.

„ლამარას" გარდა ვნახე „ანზორიც"—ამბობს ლუიზა შტრონგი,—ამ პიესის მესამე აქტი თავისი დრამატიზმით და არქიტექტონიკით ისეთს სიმაღლეს აღწევს, როგორიც მსოფლიო სცენაზე არ მინახავს. მე აღტაცებული



## კომუნისტური პროპაგანდა გლეხობას შორის

გერმანიის კომპარტია უკანასკნელ ხანებში გაძლიერებულ საპროპაგანდო კამპანიას აწარმოებს გლეხობაში.

რეგულიარულად იგზავნება ბერლინის მიდამოებში პროპაგანდისტების კოლონები, რომლებიც დიდი სიყვარულით სარგებლობენ ღარიბ გლეხობაში და მოჯამაგირეობაში.

განსაკუთრებული პოპულიარობით სარგებლობენ წითელ ფრონტელთა კავშირის წევრები.

**სურათზე:** მიტინგი სოფლად.

---

ვარ. ჩემი საუკეთესო თეატრალური შთაბეჭდილებები მოსკოვში—ეს რუსთაველის თეატრია. ეს თეატრი უნდა ნახონ საზღვარგარეთ. უნდა შეისწავლონ ქართული თეატრის [illegible] შემოქმედება".

ასეთივე აღფრთოვანებული სიტყვებით მიმართეს თეატრს სხვა წარმომადგენლებმაც.

„იზვესტია"-ს 19 ივნისის ნომერში **ნ. ვოლკოვი** სწერს: „ეს [illegible] წარმოდგენის შემდეგ ნათლად ვხედავთ, რომ რუსთაველის თეატრის სახით ჩვენ გვყავს **რევოლუციონური ენტუზიაზმით აღსავსე კოლექტივი**".

„ანზორის" შესახებ ვოლკოვი ამბობს: „დრამატურგმა შანშიაშვილმა „ჯავშნოსანის" მოქმედების ადგილი ციმბირის ტაიგიდან დაღესტანში გადაიტანა, რაც მან დიდი ოსტატობით გააკეთა. აქ არ არის მარტო გეოგრ. და ეთნოგრაფიული სახელების მექანიკური შეცვლა. ავტორმა სიუჟეტურ სქემას დაუმატა ახალი ყოფაცხოვრებითი მასალა. გარდა ამისა ქართველმა დრამატურგმა ტექსტიდან განდევნა კაპიტან ნეზელასოვის პირადი დრამა და მთელი ყურადღება მიაპყრო პარტიზანების ბრძოლას თეთრგვარდიელებთან.

რუსთაველის თეატრი იმ სახით, რა სახითაც ის დღეს არსებობს, უეჭველად დიდ მხატვრულ **მოვლენას წარმოადგენს**".

ასეთია მოსკოვის პრესის აზრი რუსთაველის თეატრზე. ასეთივე აზრი გამოითქვა კომუნისტური აკადემიის ლიტერატურისა და ხელოვნების სექციის სხდომაზე მოსკოვში. ამ სხდომაზე ამხ. **კერჟენცევმა** აღნიშნა, რომ რუსთაველის თეატრმა შესძლო გვერდი აევლო იმ საფრთხისათვის, რომელიც ყველა თეატრების და, განსაკუთრებით, ნაციონალური თეატრების წინაშე სდგას. ეს ის, რომ თეატრი არ გადავარდეს ნაციონალიზმში. თეატრმა დაამსხვრია მოსკოვის ზოგიერთ წრეებში გამეფებული აზრი, ვითომ მოსკოვის გარეშე თეატრი არ არსებობდეს. თეატრმა შესძლო უჩვენებინა ყველასათვის, თუ რა დიდი კულტურული მუშაობა სწარმოებს საქართველოს რესპუბლიკაში ნაციონალური ხელოვნების განვითარებისათვის.

დაბოლოს საჭიროა აღინიშნოს თეატრის კიდევ ერთი გამარჯვება. რუსთაველის თეატრი მიიწვიეს საგასტროლოდ ამერიკაში.

**თ. ზ.**

# ძლიერი დემონსტრაცია პარიზის კომუნის აღსანიშნავად

ეროვნული ბიბლიოთეკა



25. მაისს, პარიზის კომუნის დაცემის წლის თავზე გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია კომუნარების კედელთან, პერ-ლა-შეზის სასაფლაოზე. მსვლელობა მოეწყო კომპარტიის ხელმძღვანელობით შრომის უნიტარულ კონფედერაციასთან ერთად და მიუხედავად პოლიციის მობილიზაციისა და თავსხმა წვიმისა დიდი წარმატებით ჩატარდა.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 50.000 კაცმა. ადგილი ჰქონდა პოლიციასთან შეტაკებას, რის შემდეგ მრავალი დაპატიმრება მოხდა.

სურათზე: დემონსტრანტები კომუნარების კედელთან.

# მეთამბაქოეობა

მიმდინარე წელს აფხაზეთში გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია არაჩვეულებრივ პირობებში მიმდინარეობს. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში აფხაზეთში კოლექტივიზაციაში ჩაბმული მეურნეობები შეადგენდნენ მხოლოდ 3 პროცენტს, ახლა კი, თესვისათვის, ჩვენ გვაქვს უკვე 15 პროცენტი. სავსებით გასაგებია, რომ ამ წარმატებებს თან სდევს კულაკების ძლიერი აგიტაცია, განსაკუთრებით იმ სოფლებში და რაიონებში, სადაც მუშაობა მოჯამაგირეთა და ღარიბთა შორის სუსტად იყო დაყენებული, სადაც სოფლის საბჭოებმა და პარტუჯრედებმა ვერ შესძლეს თავის გარშემო შემოეკრიბათ ღარიბ-საშუალო გლეხთა მასები კულაკისათვის სათანადო პასუხის გასაცემად.

თამბაქოს თესვის კამპანიის პირველი ეტაპი — კონტრაქტაცია — აფხაზეთმა შეასრულა. 17.000 ჰექტარი, რომელიც გეგმით იყო გათვალისწინებული, დაკონტრაქტებულია. ძირითადად მუშაობა ფართოდ არის გაშლილი, ამ წლის მოხვნა თამბაქოსათვის წარმატებით შესრულდა. გლეხობა, რომელიც არასოდეს არ შესდგომია მიწის ხვნას აპრილზე ადრე, წელს უფრო აქტიური იყო. უკვე აპრილის პირველ რიცხვებში ბევრმა მეურნეობებმა დაამთავრეს პირველი ხვნა.

ამჟამად ფართოდ იშლება სოც. შეჯიბრება ცალკე ამხანაგობებს შორის, რაც ზრდის ღარიბ-საშუალო გლეხთა მასის აქტივობას საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესასრულებლად, აგრომინიმუმის გასატარებლად, საქონელი პროდუქციის გაზრდისათვის, როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ, თამბაქოს კულტურული მოვლისათვის და მინერალური სასუქის გამოყენებისათვის. მინერალური სასუქი გლეხობას შორის განაწილებულია 522 ტონის რაოდენობით. განაწილებულია აგრეთვე 200 ცალი გუთანი.

სოხუმის და კოდორის მაზრის ბევრ სოფლებში გამოშვებულია კედლის გაზეთები, რომლებიც აშუქებენ საგაზაფხულო კამპანიის მიმდინარეობას და რომლებიც ააშკარავებენ ყველა შემაფერხებელ მიზეზებს და ნაკლოვანებებს. ზოგიერთ სოფლებში (გულრიფში, კოლდახვარი, კაჭკალეკი) კულაკები შეეცადნენ ჩაეშალათ სასოფლო ამხანაგობების შექმნა, მაგრამ მათი წინააღმდეგობა დაძლეულია — მეთამბაქოეთა ყველა დასახული ამხანაგობები დაარსებულია.

ამჟამად ძირითადი ამოცანაა — მუშაობის შემდგომში განმტკიცება ღარიბ-საშუალო გლეხთა მასას შორის, აფხაზეთის მშრომელი გლეხობის უფრო მეტი აქტივობის გამოჩენა და თესვის გეგმის შესრულება. ყველაფერი ეს საბოლოოდ გაანადგურებს კულაკობის აგიტაციას.

მეთამბაქოე

# პაწია კენგურუ თავშესაფარში იმალება



პატარა კენგურუ დედის ძუძუსთან



პატარა კენგურუ დედის პარკში მიძვრება



პატარა კენგურუს თავი გამოუყვია აბგიდან

თბილი გაზაფხულის სხივებზე პატარა კენგურუ ნებივრობდა. იგი ტყვეობაში იყო დაბადებული, მაგრამ რადგან არ იცოდა რა განსხვავება არსებობს ტყვეობასა და თავისუფლებას შორის, ამიტომ ეს გარემოება მისთვის არსებითად სულერთი იყო. პატარა კენგურუ სრულიად კმაყოფილი იყო თავისი თავისა და სამყაროსი. ეს სამყარო დიდ გალიას წარმოადგენდა, სადაც მას შეეძლო ეხტუნა და სადაც მისი დედაც იმყოფებოდა. დროგამოშვებით იქვე შემოდიოდა უცნაური არსება, რომელიც აგრეთვე ორ ფეხზე დადიოდა, მაგრამ ისე ლამაზათ ვერ ხტუნავდა, როგორც მისი დედა. მაგრამ ეს ორფეხი გულკეთილი უნდა ყოფილიყო, მიტომ რომ მას ყოველთვის ჩალა და საკვები მოჰქონდა დედისთვის და ხანდახან ხელსაც უსვამდა ალერსიანათ. ერთ დღეს ჩვენმა პატარა კენგურუმ დიდი რამ გაიცადა. ორფეხიანმა თან მეორე ორფეხიანი მოიყვანა. მას მუცელზე დიდი, ბრჭყვიალა თვალებიანი კოლოფი ჰქონდა ჩამოკიდებული. პაწია კენგურუს შიშის ჟრუანტელმა დაუარა ამ უცნობის დანახვაზე. ერთად ერთი თავშესაფარი დედის აბგა თუ პარკი იყო, იგი დედას მივარდა. ჯერ კიდევ აბგაში თავი შეყოფილი არ ჰქონდა, რომ უცნობმა პირველათ დაატკაცუნა, იგი პარკში საჩქაროთ შეძვრა და უკვე საამურ სითბოს გრძნობდა, რომ მეორე დატკაცუნება გაიგონა. მაგრამ აქ, დედის აბგაში, პაწიას ხელახლა გამბედაობა მოემატა, იფიქრა ახლა კი არაფერი მიშავსო. თავი გამოჰყო, რათა ერთხელ კიდევ შეეხედა უცნობისათვის. ეს უკანასკნელი სულ ახლო იდგა და ხელახლა შუშის თვალი მოანათა. მაშინ ჩვენმა პაწია კენგურუმ მკვირცხლათ თავი ჩასწია და ფარდა ჩამოუშვა.—ხოლო ფოტოგრაფმა ორი სიგარა მისცა დარაჯს და წავიდა. სურათები რედაქტორს მიუტანა და უთხრა: „ვერ წარმოადგენთ, რა ძნელია ასეთი სურათების გადაღება. კაცმა მთელი დღე უნდა იცადოს გალიასთან, სანამ ასეთი პაწია ცხოველი დედის პარკში ჩაძრომას ინებებდეს".



ძუძუმწოვარა კენგურუ, რომელიც იმოდენა გამხდარა, რომ დედის აბგაში ველარ ეტევა



ფარდა ჩამოშვებულია!

# ფიზკულტურა და სპორტი

გაზაფხული — ფიზკულტურული მუშაობის დახურულ დარბაზებიდან სუფთა ჰაერზე გატანის დროა. გაზაფხული და შემოდგომა საუკეთესო პერიოდია მასიური ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გასაშლელად.

თბილისის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა წელსაც ფართოდ გამოიყენეს ეს დრო. თბილი დღეების დადგომისთანავე სასპორტო დარბაზებმა ადგილი დაუთმეს სტადიონებს და სპორტმოედნებს. ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი (ტენისი), მძლეოსნობა, ძალოსნობა (ჭიდაობა, კრივი, სიმძიმეების აწევა) — სპორტის ყველა სექციებმა გააფართოვეს თავისი მუშაობა.



ფიზკულტურელი ქალები

პირველობის გათამაშება ფეხბურთში უკვე დამთავრდა. არ შეიძლება ითქვას, რომ წრევანდელი სეზონი მაინც და მაინც საინტერესო ყოფილიყოს. ქალაქის პირველობა დარჩათ მელითონეებს, რომლებმაც ადვილად მოიპოვეს თბილისის ჩემპიონის სახელი: პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას არ იღებდნენ „დინამო" და ტრანსპორტელთა გუნდი. პირველი იმის გამო, რომ იმ დროს არ ყავდა ზოგიერთი მოთამაშეები, ხოლო მეორე გამორიცხული იყო გათამაშებიდან პირველი მაისის ალლუმზე გამოუცხადებლობის გამო.

არც საქალაქთაშორისო შეჯიბრებების სეზონი გამოდგა საინტერესო. ამ მხრივ დაპირებები ბევრი იყო, მაგრამ შესრულდა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, ოდესის, ნიკოლაევის და კიევის გუნდებიდან ჩვენ თბილისში ვნახეთ მხოლოდ მოსკოვის გუნდი და „პროგრამის გარეშე" ბაქოს და ერევნის გუნდები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერევნის გუნდის დიდი წარმატება თბილისში. გუნდმა მოუგო ბაქოს გუნდს და წააგო თბილისის მელითონეებთან, რომლებმაც საკმაოდ დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდათ, რომ თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ მატჩის ბედი.

რაც შეეხება სპორტის დანარჩენ დარგებს, მათ ჯერ არ დაუმთავრებიათ სეზონი, გარდა ძალოსნური სექციისა. ძალოსნობაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა-სავაჭრო მუშაკები, მეორეზე — კომუნალური მუშაკები და მესამეზე — „დინამო".

ამჟამად გრძელდება შეჯიბრებები ჩოგბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში და მძლეოსნობაში. შეჯიბრება ხდება როგორც გუნდებს, ისე ცალკე ფიზკულტურელებს შორის (მძლეოსნობა).

---

„ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული", — ამბობდენ რომაელები. საბჭოთა სინამდვილეში ფიზკულტურა მიზნად ისახავს მშრომელთა გაჯანსაღებას, მათ კლასობრივად აღზრდას და მათში მებრძოლის სულის გაძლიერებას. ფიზკულტურაში ჩაბმულ მოზარდთა და მოზრდილ მუშათა რიცხვი წლითი წლობით იზრდება. მარტო თბილისში და თბილისის ოლქში ფიზკულტურაში ჩაბმულია 9.000 კაცი, რომლებიც თავის სურვილის თანახმად ვარჯიშობენ. თუ ამას მივუმატებთ სკოლებს და პიონერთა ორგანიზაციებს, სადაც ფიზკულტურა სავალდებულო საგანია, მაშინ გამოვა, რომ ფიზკულტურული ორგანიზაციები აერთიანებენ 80.000-მდე კაცს.

ფიზკულტურელთა ასეთ უზარმაზარ არმიას ესაჭიროება სტადიონები, დარბაზები, სხვადასხვა იარაღები. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ფიზკულტურული მშენებლობა ჩვენში ძალზე სუსტად მიმდინარეობს. 1927 წელში მუშათა კლუბებში ფიზკულტურას დათმობილი ჰქონდა 200 კვ. მეტრი სივრცე, 1930 წელში არის 11.500 კვ. მეტრი; 1927 წელში პროფკავშირებს არ ჰქონიათ არც ერთი სასპორტო დარბაზი და მოედანი, წელს არსებობს რამდენიმე დარბაზი.

ფიზკულტურული მშენებლობის მხრივ თბილისი ჩამორჩება საბჭოთა კავშირის ყველა მსხვილ ქალაქებს. თბილისში ერთ მცხოვრებზე მოდის 0,06 კვ. მეტრი სივრცე, ლენინგრადში კი 3 მეტრი, ბაქოში, 1,5 მეტრი.

ფიზკულტურისათვის გადადებული თანხები არ არის საკმარისი. 1928 წელში საქ. პროფსაბჭოს ხაზით ფიზკულტურაზე დაიხარჯა 39.000 მანეთი, აქედან უმეტესი ნაწილი მოუნდა ადმინისტრაციულ - სამეურნეო ხარჯების დაფარვას; 1929 წელში დახარჯულია 150.000 მანეთი, აქედან 120—130.000 მანეთი დაიხარჯა მშენებლობაზე.

მარტო ფიზკულტურული ორგანიზაციების და ცალკე უწყებების თანხები არ არის საკმარისი ფიზკულტურული მშენებლობისათვის. ცნობილია, რომ თბილისს არ აქვს არც ერთი სტადიონი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. საქ. პროფსაბჭომ მოინდომა ამ ნაკლის შევსება და ვაკეზე დაიწყო დიდი სტადიონის აგება 10.000 კაცისათვის. მაგრამ ორი წლის მუშაობის შემდეგ მშენებლობა შეწყვეტილ იქნა თანხების უქონლობის გამო და არავინ იცის როდის ელირსება ამ სტადიონს დამთავრება.

ფიზკულტურის განვითარებისათვის სათანადო ბაზების და მოწყობილობის გარდა საჭიროა ხელმძღვანელი კადრებიც. ამ მხრივაც მდგომარეობა ვერ არის სანუგეშო. თბილისში და მის ოლქში ამჟამად ითვლება ფიზკულტურის 125 ინსტრუქტორი და მასწავლებელი, რაც სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. თბილისის ფიზკულტურის საბჭოს წინაშე ამჟამად დასმულია ამოცანა — მოაწყოს კურსები ფიზკულტურის ხელმძღვანელების მოსამზადებლად კომკავშირელებიდან და მუშა-ახალგაზრდობიდან.

---

თბილისი დღემდე არ იცნობს რა არის წყლის სპორტი, მაშინ როდესაც სხვა ქალაქებში დიდი თანხები იხარჯება სპორტის ამ დარგის განსავითარებლად, თბილისში ამ მხრივ არავითარი ნაბიჯები არ ყოფილა გადადგმული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქ. პროფსაბჭოს წყლის სადგურს ზაჰესის ტბაზე, რომელიც გახსნის მეორე თვეშივე ჩაკეტა.

ეხლა წყლის სპორტის განვითარებისათვის აქმნება ხელსაყრელი პირობები. თბილისის აღმასკომმა ვერის პარკში მდ. მტკვარზე მოაწყო საზაფხულო საბანაო, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სპორტული მიზნებისთვისაც. ფიზკულტურის თბილისის საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ჩამოაყალიბოს ცურვის წრეები, რომლებიც იმეცადინებენ საბანაოში.

შემდეგში აუცილებელია ამ საბანაოს გაფართოვება, ანდა მის გვერდით სპეციალური წყლის სადგურის მოწყობა, რაც საშუალებას მისცემს ფიზკულტურის საბჭოს მტკიცე ნიადაგზე დააყენოს წყლის სპორტის განვითარება.

---

საბჭოთა კავშირის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, 3 ივლისს მთელს საბჭოთა კავშირში ეწყობა ფიზკულტურის დღე. საქართველოში ეს დღე ჩატარებული იქნება ფიზკულტურული მუშაობის ტერიტორიალურ - საწარმოო ნიშნით გარდაქმნის, ფიზკულტურის მშრომელთა გაჯანსაღების ამოცანებისათვის შეფარდების და შრომის ნაყოფიერების გადიდების თვალსაზრისით.



სხვადასხვა მომენტი ფიზკულტურულ ვარჯიშობიდან

ამ დღის აღსანიშნავად მოეწყობა ესტაფეტა, მიძღვნილი პარტიის და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის. 2—3 ივლისს თბილისში მოეწყობა აგრეთვე საქალაქთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ბათომის, სოხუმის, ფოთის და ქუთაისის ფიზკულტურელები.

ლანდა.

# ერთი კვირა კახეთის ოლქში

გურჯაანი კახეთის ოლქის ახალი ცენტრია, სადაც დღეს მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. შენდება მუშათა საცხოვრებელი სახლები, კოოპერატივის შენობა, დამთავრდა ელსადგური, მუშათა თეატრი, განახლდა საღვინო პუნქტი და სხვა...



**კახელი ქალები კანაფის სამუშაოზე**

გურჯაანიდან ერთი კილომეტრის მანძილზეა კურორტი ახტალა. არ იცნა და არა ამ კურორტის თავის სიმაღლეზე დაყენება. აქ კიდევ ახალს მაინცდამაინც ვერაფერს ნახავს, თუ, როგორც რამოდენიმე წლის წინად, შემოღობილია აბაზანების მისადგომი ადგილები, ჩამომსვლელთათვის არ არის კარგად მოწყობილი ბინები, არის საკურორტო სასადილო, რომელიც საღამოს 8 საათზე იხურება. სასადილოს გარეშე სურსათს ავადმყოფები ვერსად შოულობენ. არის იმის შესაძლებლობა, რომ ეს კურორტი უფრო უკეთესად მოეწყოს, მაგრამ რატომღაც დღემდე უყურადღებოდაა დატოვებული.

მივდივარ წნორში. წნორი პატარა ქალაქს დაემსგავსა, გაჩნდა დაწესებულება-ორგანიზაციები.

წნორში ჩამომსვლელთა სიმრავლეს ალბად ვერ ამჩნევენ ალმასკომში და გლეხკომში. აქ არ არის არცერთი სასტუმრო, არის მხოლოდ ერთი გლეხის სახლი, რომელიც ყოველთვის ივსება ჩამსვლელი მუშა-მოსამსახურეებით და გლეხები უბინაოთ რჩებიან.

ალაზნის არხის გაყვანა უკვე დამთავრდა. ალაზნის ეს თვალუწვდენელი ველი დაისერა მისი შტოებით. არხის შენაერთებზე არ არის გაკეთებული ბოგირები, რაც გლეხობას ხელს უშლის ტრაქტორებისა და ურმების გადაყვანის დროს. ალაზნის ველზე, მთელ რიგ ადგილებში, მოდებულია მოსავლის გამანადგურებელი—კალია. მიწსახკომმა გაგზავნა ამ ადგილებში რაზმები კალიასთან საბრძოლველად, უნდა ითქვას, რომ ეს რაზმები ადგილებზე ძლიერ მოისუსტებენ. ისინი მუშაობის დროს იხმარებენ გლეხებს, რომელთაც არ ეცნობენ საქმეს, რის გამო გლეხებში გაუგებრობა იქნება. გლეხებს რომ ჰკითხოთ—„ისპობა თუ არა კალია?"—გიპასუხებენ—„წამლების ხმარებით კალია კი არ ისპობა—სუქდება"-ო.

ეს გამოწვეულია იმით, რომ როდესაც მოსაწამლავ ჰექტარში გლეხები ასხამენ სხვადასხვა წამლებს, აურეველად ასხამენ მიწაზე, რასაც არავითარი შედეგი არ მოაქვს. ეს აუცილებლად რაზმების ხელმძღვანელობის უნდა მიეყურონ. გლეხები თვით უკმაყოფილებას გამოსთქვამენ რაზმების მუშაობაზე.

---

შირაქის ველი ყველაზე მომხიბლავი და ყურადღების მისაპყრობი ადგილია. გასცილდებით თუ არა სოფ. წითელ-წყაროს, თქვენ თვალწინ გადაიშლება შირაქის მწვანე ველი. წითელი წყაროდან მე-15 კილომეტრზე რომ მიაღწევ, წინ გადაგეღობება „საქნავთის" სამუშაოები. გრიალებენ მანქანები... მუშაობენ ჭაბურღილები... „საქართველოს ნავთის" სამუშაოებზე დღეს მუშაობს 800-მდე მუშა-მოსამსახურე. შენდება მუშათა საცხოვრებელი ბინები. სულ დადგმულია 13 კოშკი, ამათგან 3 კოშკში უკვე სდგას ჭაბურღილები, დანარჩენ ჭაბურღილებს „საქნავთი" მიიღებს აგვისტოსათვის.

„საქნავთის" სამუშაოებთან ახლოს იმყოფება „შირაქის საბჭოთა მეურნეობა", სადაც სწორედ „ტრაქტორის დღეს" მოვხვდი. „საბჭოთა მეურნეობის" 16 ტრაქტორი თავიანთი გუთნებით ჩამწკრივებულიყო. მუშები აქებდნენ მომხსენებებს „ტრაქტორის დღე"-ზე. საბჭოთა მეურნეობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი იარაღ-მანქანებით. სამუშაოზე სულ მუშაობს 300 სეზონური და 100 მუდმივი მუშა.

მეძროხეობისათვის დათმობილია 10,000 ჰექტარი მიწა. მეცხვარეობისათვის 60.000 ჰექტარი. ცხენებისთვის 10.000 ჰექტარი. ამჟამად ჰყავთ 120 ჯიშიანი ცხენი, 70 იორქშირის ჯიშის ღორი.

მეურნეობას აქვს თავისი სახელოსნო. შენდება მუშათა საცხოვრებელი ბინები, სასადილო და სხვა.

აქედან 8 კილომეტრის მანძილზე არის ამხ. მ. ორახელაშვილის სახელობის ზემო-ქედის კომუნა. კომუნა მართლაც სანიმუშო სანახავია. სულ მასში შედის 184 კომლი—856 სული. კომუნარებს დათესილი აქვთ 300 ჰექტარი პური, 80 ჰექტარი ქერი, 63 ჰექტ. სიმინდი, 163 ჰექტ. მზესუმზირა, 8 ჰექტარი კარტოფილი, 10 ჰექტარი ლობიო და სხვ. ჰყავთ: 118 სული მუშა-საქონელი, აქედან 30 ცხენია, 100 ჯიშიანი ღორი, 30 მერინოსის ყოჩი, 4000-მდე სული ცხვარი, 354 მეწველი საქონელი, 189 სკა ფუტკარი.

საერთოდ კომუნარები ერთსულოვნად მუშაობენ. მტრობას და შუღლს მათ შორის ადგილი არა აქვს. ყველანი მუშაობენ ერთად—საერთო საქმისთვის.

გავცდი კახეთის მწვანე ველებს. მივდივარ თბილისისაკენ იმ აზრით, რომ მომავალში კახეთის ოლქი უფრო გაფართოვდება, კომუნარების, კოლექტივების და საბჭოთა მეურნეობების ცხოვრება გაძლიერდება და ერთიანი ძალით წავლენ წინ სოციალისტურ ქვეყნის შესაქმნელად.

ფ. ც—ძე.



**კახელი გლეხები—კოლ. წევრები**






მოეწყო მოტო-ველო ესტაფეტა თბილისი-კავკავი. ესტაფეტის მონაწილეებმა — ა.-კ. ფიზკულტურელებმა — მე-16 პარტყრილობას წაუღეს ა.-კ. მშრომელთა პატაკი. კავკავში პატაკები გადაეცა ჩრდილო-კავკასიის ფიზკულტურელებს, რომლებიც წაიღებენ მოსკოვში.

**სურათზე:** — გადარბენის მონაწილენი გასვლის წინ.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



კალინინის სახელობის ქარხანაში ჩამოყალიბდა საუკეთესო კომკავშირელებისაგან მე-16 პარტყრილობის სახელობის დამკვრელი ბრიგადა.



ქასპი. ლითონის მბრუნავი ღუმელების აწყობა ცემენტის ახალ ქარხანაში.



ბათომის თამბაქოს ფაბრიკის კომკავშირელების დამკვრელი ბრიგადა დაზგის აწყობის დროს.



ა.-კ. რკინის გზების მშენებლობის ახალი სახლი, რომელიც ააგეს თბილისში კეცხოველის ქუჩაზე.



ლენინის სახელობის მუშფაკი. მეცადინეობა ფიზიკურ კაბინეტში



დიდი მექანიზაციაქმნილ წისქვილის აგება კასპის ცემენტის ქარხნისათვის.



მე-16 პარტყრილობის სახელობის კომკავშირელების დამკვრელი ბრიგადა თბილისის ავეჯეულობის ფაბრიკაში.



მუშათა ახალი სახლი, რომელიც იგება თბილისში ყორღანოვის ქუჩაზე.



მალე მოთავდება ა.-კ. სახკომსაბჭოს სახლის მშენებლობა.



ამხ. ტომაზოვის ბრიგადა ავეჯეულობის ფაბრიკაში, რომელმაც 50 პროცენტით ასწია შრომის ნაყოფიერება და ამდენითვე შეამცირა თვითღირებულება.



სტანდარტული სახლი აგებული მუშებისათვის კასპში.

# გამოვიდა და იყიდება

ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური

ჟურნალი

# „ბოლშევიკი“

საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ორგანო

## ხელისმოწერა მიიღება

## თბილისში:

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პრ. № 34)

ფოსტის ცენტრალურ საგაზეთო ბიუროში.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და ქვითრებით.

## პროვინციაში:

ფოსტის უწყების ყველა დაწესებულებებში.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და რკინის გზის კიოსკებში.

## ჟურნალის ფასი:

1930 წლის ბოლომდე—2 მ. 50 კაპ.

6ˇთვით . . . . . —1 მ. 50 კაპ.

3 თვით . . . . . — 75 კაპ.

1 თვით . . . . . — 25 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ.

„კომუნუსტი“-ს გამომცემლობა.

მთავლ. № 1603. ტირაჟი 5200. საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი“ [ გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლ…